საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში

N 01/2875
10/10/2017

2875-01-2-201710101545

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ბერძულს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით და ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელებას ევროკავშირი მხარს უჭერს ფინანსური დახმარების ინსტრუმენტებით. აღნიშნული ინსტრუმენტები გათვალისწინებულია ევროკავშირის დახმარების ერთიანი ჩარჩო პროგრამის (SSF) და ყოველწლიური სამოქმედო გეგმების ფარგლებში.

ევროკომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ცნობილია, რომ ევროკავშირის დახმარების 2018 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება ევროკავშირის საექსპერტო მხარდაჭერა ინსტიტუციური და ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტების საშუალებით *(დაფინანსების ოდენობის დაზუსტება მოხდება მოგვიანებით)*. აღნიშნული ინსტრუმენტები მოიცავს TWINNING-ის და ტექნიკური დახმარების (TA) საექსპერტო პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას, კერძოდ, ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის პროცესში ევროპული გამოცდილების გაზიარებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსგავსი პროექტების განხორციელებას წინ უძღვის ხანგძლივი პროცედურული ნაწილი, აუცილებელია დროულად დაიწყოს საპროექტო წინადადებების შეგროვება დაინტერესებული სახელმწიფო უწყებებიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი და თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ)

ინგოროყვას ქ. № 7, 0114 თბილისი; ტელ: +99532 2932867; ელ-ფოსტა: office@eu-nato.gov.ge;
ვებ-გვერდი: www.eu-nato.gov.ge

საპროექტო წინადადებები ა/წლის 10 ნოემბრამდე განაცხადის თანდართული ფორმის მიხედვით.

აქვე გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ უწყების მიერ გაკეთებული განაცხადი (საპროექტო იდეა) უნდა აკმაყოფილებდეს ევროკომისიის მიერ დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:

- საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტებთან და პრიორიტეტებთან შესაბამისობა;
- ასოცირების შეთანხმებასთან და მასში გათვალისწინებულ ვალდებულებებთან/პრიორიტეტებთან შესაბამისობა (კანონმდებლობის აპროქსიმაცია);
- საპროექტო წინადადების მკაფიოდ და არგუმენტირებულად ჩამოყალიბებული მიზნების არსებობა;
- ბენეფიციარი უწყების მიერ პროექტის განხორციელების შესაძლებლობა (ადამიანური რესურსები, ინსტიტუციონალური მოწყობა);
- ასევე, მნიშვნელოვანია გამოირიცხოს დუბლირება ამჟამად თქვენს უწყებაში მიმდინარე ან დაგეგმილ დახმარების პროექტებთან.

დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის სამსახურს (ნინო ქესანიშვილი 591 908585; აკაკი ჯამბურია 577 520958)

დანართი: 2 გვ.

პატივისცემით,

არჩილ ყარაულაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

სახელმწიფო მინისტრის აპარატი